დანართი №2

სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები: თამარ ახალაძე

თბილისი, 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „აისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: 227770800

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება[1]

[1] საფუძველი: პსდ-ის საბჭოს შუამდგომლობა (პსდ-ების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი, MES 1 23 0000325966, 22/03/2023).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯში „აისი“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2023 წლის 4 მაისის ბრძანების MES 8 23 0000500265 საფუძველზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა, კოლეჯის მიერ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეფუტკრეობა", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შეფასება. შეფასების საფუძველს, თავის მხრივ, წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა (პსდ-ების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი, MES 1 23 0000325966, 22/03/2023).

პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2023 წლის 16 მაისს ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე) და დარგის ექსპერტი თამარ ახალაძე.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლილი დოკუმენტაციისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ. ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობა შეფასდა დადებითად. გაიცა განმავითარებელი შინაარსის რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი აღმოფხვრილია, რასაც ადასტურებს პსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენცია (MES 3 23 0000603590, 29.05.2023წ.) და თანდართული ფოტო მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ფარგლებში, წინა ვიზიტის დროს გაცემული იქნა შესაბამისობის რეკომენდაცია, პსდ-ის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემოს მოწყობა. რეკომენდაცია პსდ-ს მიერ სრულად აღმოფხვრილია. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილია ყველა ტიპის სასწავლო გარემო (A გარემო, C გარემო და სადურგლო) შესაბამისი აუცილებელი აღჭურვილობით.

შესრულებულია ასევე გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია პერსონალის ტრენინგებთან დაკავშირებით. შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლები გადამზადდა მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულ თემატიკაზე განხორციელებულია შიდა ტრენინგი, რაც შეეხება მასწავლებელთა შრომის უსაფრთხოების და სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით გადამზადებას, შესაბამისი აქტივობები შეტანილია მიმდინარე წლის გეგმაში.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირდა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სასურველია:

2.2.1. (1) - პირველადი დახმარების აფთიაქი განთავსებული იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ადგილას/გარემოში. ასევე, პსდ-ს მიერ, განისაზღვროს სამედიცინო ყუთის/აფთიაქის შემადგენლობა, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური რისკების გათვალისწინებით. ამასთან, პსდ-მ უზრუნველყოს პიქტოგრამების შეცვლა/განთავსება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის №457 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნივთის განკარგვის შესახებ შეთანხმების დოკუმენტის სრულყოფისა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დოკუმენტით განისაზღვროს მისი მოქმედების ვადა, მინიმუმ, პროგრამის განხორცილების ვადით და ასევე, დაემატოს მხარეთა წინასწარი ინფორმირების ვალდებულება, შეთანხმების პირობების შეცვლის შემთხვევაში.

2.2.1.(3) - საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ სპეციფიკიდან და შესაძლო რისკებიდან გამომდინარე, დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირები გადამზადდნენ პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი დონის პროგრამით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პსდ-ის დირექტორის ბრძანება №02- 01- 424 6.12.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ლაგოდეხის რაიონი, სოფ. შრომა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ.ბ.) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ შესაბამისობა, დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 30-ს (15-15 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში, სადაც კოლეჯის მფლობელობაშია არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, საიდანაც სასწავლო პროცესისთვის ამ ეტაპზე დატვირთულია ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც მოწყობილია და სრულად არის აღჭურვილი სასწავლო პროცესისთვის. აღნიშნულ სივრცეში, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გამოყოფილია ერთი A სასწავლო გარემო, პროფესიული სტუდენტისთვის 15 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით.

ამავე სივრცეშია გამოყოფილი B სასწავლო გარემო (კომპიუტერული კლასი), სადაც მოწყობილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი, კომპიუტერი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა. აღნიშნულ მისამართზე, ამ ეტაპზე კოლეჯი ახორციელებს 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას („სატყეო საქმე“, „მებაღეობა“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, „საოფისე საქმე“, ბუღალტრული აღრიცხვა“), რომელთა ფარგლებში ისწავლება მხოლოდ ინფორმაციული წიგნიერების მოდული, გარდა „საოფისე საქმისა“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამებისა, რომლებიც დამატებით საჭიროებს გარკვული სწავლის შედეგების/მოდულების განხორციელებისთვის B გარემოს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფილიალის არსებული კვოტის (ამ ეტაპზე სულ 90 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებში, გარემო გამტარუნარიანია.

პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, ცალკე მდგომ შენობაში მოწყობილია 3 აუდიტორია: A სასწავლო გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. აქვეა განთავსებული დარგობრივი მოდულების შესაბამისი 2 C სასწავლო გარემო: ფუტკრის პროდუქტების მიღება-დამუშავების და სადურგლო სამუშაოების წარმოებისთვის. აღნიშნული გარემო, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვიზიტის დროს, არ იყო დასრულებული სარემონტო და აღჭურვილობის სამონტაჟო სამუშაოები. თუმცა დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა სრულად იყო წარმოდგენილი. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვიზიტისთვის, პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყოს პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. მონიტორინგის ვიზიტისთვის, საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო სივრცეები (სადურგლო და მეფუტკრეობის დარგობრივი კაბინეტები) სრულად იყო მოწყობილი.

აუდიტორიები მოწყობილია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური აღჭურვით და უზრუნველყოფს მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, გარდა მოდულის „ფუტკრის პროდუქტების მიღება (0911461)“ მეხუთე სწავლის შედეგისა „ფუტკრის შხამის მიღება და შენახვა“, რომელიც საჭიროებს ფუტკრის შხამის მიმღებ მოწყობილობას. აღნიშნული ინსტრუმენტი/მოწყობილობა არაა გათვალისწინებული ჩარჩო დოკუმენტის მატერიალური აღჭურვის სარეკომენდაციო ჩამონათვალში, თუმცა მოდულის სტანდარტული ჩანაწერების მიხედვით სწავლის შედეგი პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსისაა, ხოლო სწავლის შედეგის შეფასების მიმართულება წარმოადგენს პრაქტიკულ დავალებას დაკვირვებით. აღნიშნული სწავლის შედეგის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებისა და დადასტურების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას, კერძო პირთან (პროფესიული განათლების მასწავლებელთან) გაფორმებული აქვს შეთანხმება (№1 17.03.2022 წ.) აპარატის სასწავლო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ. *სასურველია დოკუმენტის სრულყოფისა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვროს მისი მოქმედების ვადა, მინიმუმ პროგრამის განხორცილების ვადით და ასევე, დაემატოს მხარეთა წინასწარი ინფორმირების ვალდებულება, პირობების შეცვლის შემთხვევაში.*

ჩარჩო დოკუმენტის მატერიალური რესურსით განსაზღვრულია ასევე სამედიცინო ყუთი, თუმცა დოკუმენტით არაა განსაზღვრული მისი მინიმალური სავალდებულო შემადგენლობა. სამედიცინო ყუთი დაწესებულებაში განთავსებულია ფილიალის ძირითად ადმინისტრაციულ კორპუსში. აფთიაქს არ აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებით დადგენილი შესაბამისი ნიშანდება. ექსპერტების მიერ პროგრამის ფარგლებში არსებული სპეციფიკური რისკებიდან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელებისას, შესაძლო რისკებისა და საფრთხეებიდან გამომდინარე, განისაზღვროს აფთიაქის სავალდებულო შემადგენლობა და შესაბამისი პირობებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით, განთავსდეს ის ყველა კრიტიკულად მნიშვნელოვან ადგილზე (პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გარემო). აფთიაქთან განთავსდეს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისი ნიშანდება. სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს არსებული მოთხოვნები სხვა გამაფრთხილებელ და უსაფრთხოების ნიშნებთან მიმართებითაც.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, პსდ-ს ტერიტორიაზე მოწყობილია საფუტკრე მეურნეობა 75 სკით, რაც უზრუნველყოფს, მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება პსდ-ს მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით.

ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები და საფუტკრე მეურნეობა, არსებული მატერიალური აღჭურვილობით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- ***სასურველია პირველადი დახმარების აფთიაქი განთავსებული იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ადგილზე/გარემოში. ასევე, პსდ-ს მიერ, განისაზღვროს სამედიცინო ყუთის/აფთიაქის შემადგენლობა, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური რისკების გათვალისწინებით. ამასთან, პსდ-მ უზრუნველყოს პიქტოგრამების***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეცვლა/განათავსება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის №457 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

- *ნივთის განკარგვის შესახებ შეთანხმების დოკუმენტის სრულყოფისა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დოკუმენტით განისაზღვროს მისი მოქმედების ვადა, მინიმუმ, პროგრამის განხორცილების ვადით და ასევე, დაემატოს მხარეთა წინასწარი ინფორმირების ვალდებულება, შეთანხმების პირობების შეცვლის შემთხვევაში.*

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელების მიზნით, პსდ-ს განსაზღვრული ჰყავს 9 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან, დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, რაც სავსებით უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

   პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობას აქვს მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. გარდა ამისა, პსდ-ს აქვს ანალოგიური პროგრამის განხორციელების მრავაწლიანი პრაქტიკა, რომელსაც დღემდე ახორციელებს კაჭრეთის ლოკაციაზე. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან განუსაზღვრელი ვადითაა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა, უფლება-მოვალეობები, განსახორციელებელი მოდული/მოდულები, ანაზღაურების, შვებულების, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები და საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა არსებითი პირობები. უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია ასევე სამუშაო აღწერილბითაც, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს. დანართითვეა განსაზღვრული პირის კვალიფიკაციის/კომპეტენციის შესაბამისი განსახორციელებელი კონკრეტული მოდული/მოდულები.

   ექსპერტთა მიერ შემოწმდა პსდ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის პრაქტიკა. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე გასაუბრება შედგა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელმაც განმარტა სასწავლო ცხრილების შედგენისა და მასწავლებელთა დატვირთვის პროცედურები. ამასთან პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც ძირითადად მდგომარეობს ფუტკრის სეზონურობის მიხედვით შენახვა-მოვლის სწავლებას, იძლევა შესაძლებლობას, რაციონალური საათობრივი დატვირთვით განხორციელდეს პროგრამა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გასაუბრება შედგა ასევე დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრებით გამოიკვეთა მათი მაღალი მოტივაცია და პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მზაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა მიერ, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაციის/დარგობრივი მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სამუშაო აღწერილობაში. დოკუმენტის თანახმად კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს დარგის შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების ან/და დარგში მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილების მქონე პირი. პერსონალი შერჩეულია დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირები არიან კოლეჯის „მეფუტკრეობის“ პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულები და ამავდროულად მეფუტკრე-ფერმერები. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვიზიტის დროს გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, განმახორციელებელი პირების გადამზადების შესახებ სწავლებისა და შეფასების, ასევე შრომის უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით. პსდ-ს მიერ განხორციელებულია შიდა რესურსით პერსონალის სწავლება მოდულური პროგრამების სწავლებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო შრომისა და უსაფრთხოების საკითხებზე, დაგეგმილია ტრენინგები.

   განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ შერჩეული პირები, ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. ასევე ადასტურებენ უსაფრთხოების საკითხებთან გადამზადების აუცილებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, პროგრამის განხორციელებისას, შესაძლო რისკებისა და საფრთხის დადგომის ალბათობიდან გამომდინარე, სასურველია, დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირები გადამზადდნენ პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი დონის პროგრამით.

   ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლითა და შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც ასევე დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია:
საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელებისას, შესაძლო რისკებიდან გამომდინარე, დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირები გადამზადდნენ პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი დონის პროგრამით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი (სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 17.03.2022 წლის ბრძანება №03-01-63 პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ). პროგრამის ხელმძღვანელის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობით რომლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს პროგრამის ადაპტირება-განვითარებასა და მისი განხორციელების პროცესების კოორდინაციაზე, მათ შორის კალენდარული გეგმების, მასწავლებელთა დატვირთვის, სასწავლო განრიგების შემუშავება. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ინტერსთა კონფლიქტის პრინციპების გათვალისწინებით, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე მონაწილეობს და კოორდინირებას უწევს, პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.

   პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს. შერჩეული პირი, ხელმძღვანელობს პსდ-ს ორივე ლოკაციაზე „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამას და ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონულად (ინტერნეტ სივრცეში, ელ მატარებელზე/ელ ფაილები). პსდ-ს ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი პროგრამისთვის განკუთვნილი რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

   პსდ-ს ში ასევე მოწყობილია ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზით, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით (მაგიდები, სკამები, სტელაჟები), წიგნადი ფონდითა და ტექნიკით (4 კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 3 კომპიუტერი მკითხველისთვის, 1 - ბიბლიოთეკარისთვის. დაწესებულების სასწავლო სივრცეებში უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. პსდ აქვს შემუშავებული მექანიზმები, რითიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გაწერილია სასწავლო რესურსების ადაპტირების (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდების (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ლოკაციაზე, კოლეჯის მიერ გამოყოფილია კვალიფიციური პირი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, გარდა ამისა კოლეჯში ფიქციონირებს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც საჭიროებისას ერთვება და ცენტრალიზებულად მართავს პროცესებს.

ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროებია: პროგრამული (სუფსიდია) და პროფესიულ სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება.

   პროგრამის განხორციელების ხარჯები მოიაზრებს: შრომის ანაზღაურებას (მასწავლებლები - ვაუჩერული დაფინანსებიდან, ადმინისტრაციული - პროგრამული, საერთო ჯამში ბიუჯეტის 59%), პროგრამის განხორცილებისთვის საჭირო ნედლეული და მასალები (ვაუჩერული დაფინანსება, ბიუჯეტის 35%), სასაწავლო მიზნით გაწეული სხვა ხარჯები (პროგრამული დაფინანსებიდან). პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 5 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის სპეციფიკისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის "აისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“;
2. სსიპ კოლეჯის "აისი" პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
3. სსიპ კოლეჯის "აისი" საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ბრძანება (№03-01-63, 17.03.2022 წ.);
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა (№02-01-411, 31.12.2021);
5. სსიპ კოლეჯის "აისი" საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ბიუჯეტი;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ნუსხა;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა;
8. სსიპ კოლეჯის "აისი" პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის დოკუმენტაცია;
9. სსიპ კოლეჯის "აისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ სასწავლო გეგმა;
10. ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ და მომსახურების/მატერიალური აღჭურვის მიღება-ჩაბარების აქტები;
11. სსიპ კოლეჯის "აისი" ბიბლიოთეკის ფონდი
12. სსიპ კოლეჯის "აისი" ბიბლიოთეკის წიგნების გაცემა-დაბრუნების ჟურნალი;
13. ნივთის განკარგვის შესახებ 2022 წლის 17 მარტის შეთანხმება №1;
14. სსიპ კოლეჯის "აისი" დირექტორის 2022 წლის 6 დეკემბრის ბრძანება №02-01-425 (პსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა)
15. ვიზუალური დათვალიერებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.05.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: